მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს უ წ ყ ი ს ი

2023 წლის 27_ივნისი მეტყევე სპეციალისტის, კახა გულბანის (პ/ნ 62004017635) მიერ შესწავლილ იქნა ს/კ 01.15.02.037.002 მიწის ფართობზე არსებული ხე მცენარეების მდგომარეობა. ნაკვეთის მისამართია ქ. თბილისი ერისთავ-ხოშტარია, N 2 , (ნაკვ:37/2) დამკვეთი: შპს "ხოშტარია 2" შესწავლისას გამოვლინდა, რომ მიწის მესაკუთრეა შპს "ხოშტარია 2" ID: 404589147 მიწის ფართობი შეადგენს 408 კვმ_ს. ტერიტორიაზე დგას 5 ძირი სხვადასხვა ჯიშისა და დიამეტრის ხე-მცენარე რომელთა მდგომარეობა და შეფასება მოცემულია ცხრილში იხ ცხრილი (1)

ცხრილი№1

მცენარის №	მცენარის სურათი	მცენარის სურათი	ჯიში	D (ფესვის ყელიდან 10 სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1			ბალი Prunus avium	22	სფი	ექვემდებარება გადარგვას გადარგვის მეთოდოლოგიით
2			კომში Cydonia oblonga	14	სფი	ექვემდებარება გადარგვას გადარგვის მეთოდოლოგიით
3			ტყემალი Prúnus cerasifera	18	სფი	ექვემდებარება გადარგვას გადარგვის მეთოდოლოგიით

4			პალმა Palmae	22	სული	ექვემდებარება გადარგვას გადარგვის მეთოდოლოგიით
5			ბრონწეული Punica granatum	10	სული	ექვემდებარება გადარგვას გადარგვის მეთოდოლოგიით

ქეთა გულბანი პ/ნ 62004017635, ხაქართველო, თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №47, ტელ: (+559) 557255919
e-mail: kgulbani5@gmail.com

საკვლევ ტერიტორიაზე აღრიცხვა ჩატარდა ძირობრივად, (ფესვის ყელიდან **10**-სმ-ზე)) თვითოეულ ხეს მიენიჭა ნომერი, დასურათდა, განისაზღვრა დიამეტრი, დადგინდა სახეობა და შეფასდა მათი მდგომარეობა. აღირიცხა **5** ძირი **ფოთლოვანი** ხე მცენარე.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მცენარეების მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **19** მაისის **#10- 40** დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **12** დეკემბრის **#17-55** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

ხეების ვიზუალური დათვალიერება განახორციელა კახა გულბანმა, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის **2019** წლის **7** მაისის №**1- 187** ბრძანების საფუძველზე დარეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირთა მონაცემთა ბაზაშიბაზაში.

კახა გულბანი პ/ნ 62004017635, საქართველო, თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №47, ტელ: (+559) 557255919
e-mail: kgulbani5@gmail.com

25 სმ–მდე ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

ხე–მცენარის გადარგვამდე, უნდა მოხდეს გადასარგავი ორმოს ამოღება, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ხე–მცენარის მოცულობით ზომებზე და ხნოვანებაზე. ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ამოღებული ორმოში უნდა მოხდეს ნიადაგის ნყოიერების ამაღლება, სერტიფიცირებული და ბიოლოგიური სასუქების (ორგანული/არაორგანული) შეტანის გზითა. დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად.

გადასარგავი ხე–მცენარის ნიადაგიდან ამოღება უნდა მოხდეს მისი ფესვთა სისტემის დაუზიანებლად მიწის კომით, მიწის კომით გადარგვას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში. უმჯობესია მოხდეს მიწის კომის ფიქსირება სპეციალური დამცავი კონსტრუქციით (მაგ. ჯვალო).

დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს ხე–მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე. გადასარგავ მცენარეებს უნდა ჰქონდეთ მიწის კომი არა ნაკლებ, ხის სიმაღლის 1/5-სა, სიღრმით არა ნაკლებ 1/6-ისა.

გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო, სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5-0,9 მ.-ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ. -ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი.

სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზიმფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან.

იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე -მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნეს ამოღებული ნერგის ფესვის სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, ჩაირგოს ისე, რომ ფესვის ყელის ადგილი დარჩეს მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი ორგანული სასუქი, ნიადაგის გამდიდრებისთვის. კომით გადარგვის შემთხვევაში ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნოყიერი ნიადაგის ნაზავით, უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს ნოყიერი ნიადაგის ნაზავი, ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს. ყველა დარგული ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, შემდგომ ნერგის წყლით უზრუნველყოფისთვის.

ხე–მცენარის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად,ხე–მცენარის სიდიდიდან გამომდინარე. მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე.

კახა გულბანი პ/ნ 62004017635, საქართველო, თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №47, ტელ: (+559) 557255919
e-mail: kgulbani5@gmail.com

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა

ხე–მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე–მცენარის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცენარის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთხელ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის ზომაზე, ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.

რეკომენდირებულია ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად. დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, ხოლო ყინვების პერიოდში უნდა მოხდეს ჯამების დახურვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მცენარის ფესვთა სისტემის გაყინვა. ასევე საჭიროა სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება.

ხე–მცენარის გადარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად).

დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

გადარგულ ხე–მცენარეს დროთა განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს სხვლა–ფორმირება, ხმელი ტოტების მოშორების, ფესვთა სისტემის გაძლიერების და ვარჯის არასწორი განვითარების თავიდან აცილების მიზნით.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით.

25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდდეს თითოეული ხისთვის ინდივიდუალურად.

შემსრულებელი: **კახა გულბანი**
ექსპერტი

05.06.2021.

კახა გულბანი პ/ნ 62004017635, საქართველო, თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №47, ტელ: (+559) 557255919
e-mail: kgulbani5@gmail.com

შპს ახალი საქქალაქმშენპროექტი

AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI LTD

ქ. თბილისში, ხოშტარიას ქუჩა N 2-ში, ს/კ 01.15.02.037.002 ,

არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი.

გამწვანების პროექტი.

მუშა პროექტი.

თბილისი 2024 TBILISI

შპს ახალი საქქალაქმშენპროექტი

AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI LTD

ქ. თბილისში, ხოშტარიას ქუჩა N 2-ში, ს/კ 01.15.02.037.002 ,

არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი.

გამწვანების პროექტი.

მუშა პროექტი.

დირექტორი: ბ. მირიანაშვილი.

თბილისი **2024** **TBILISI**

დოკ. № 2407-221
თარიღი: 13.07.24

გამწვანების პროექტი



მის.: თბილისი, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა N2 ს/კ: 01.15.02.037.002 ფართობი: 408 მ² მესაკუთრე: შპს „ხოშტარია 2“

დადგენილი კ-3 კოეფიციენტი: 0.3 მცენარეებით ასათვისებელი გამწვანების ფართობი: 102 მ² (კ-3 = 0.3)

ადგილზე არსებული მერქნიანი მცენარეები: 5 (4 ხილკენკროვანი, 1 პატარა ვარჯიანი ხე)

მოვლა-პატრონობის ხანრგძლივობა: 3 წელი მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: შპს “ხოშტარია 2”

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: 2027 წ.

DEMASO WOOD 1

დამკვეთი: შპს "ხოშტარია 2"

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

დირექტორი: _____ ე. შარია


ესპერტი: _____ ლ. გოშაძე

დაამუშავა: _____ გ. ჩართოლანი

DEMASO WOOD 1 LTD 400331716

საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი მცენარეები და მათი განკარგვა

მ 1:200



ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები - 1

ცხრილი №1

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
4	პალმა (Palmae)	1

მოსაჭრელი მცენარეები - 4

ცხრილი №2

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
1	ბალი (Prunus avium)	1
2	კომში (Cydonia oblonga)	1
3	ტყემალი (Prunus cerasifera)	1
5	ბროწეული (Punica granatum)	1

პირობითი აღნიშვნები

- ხილკენკროვანი მცენარე
- პალმა
- ჭრა
- საკადასტრო საზღვარი
- შენობის განთავსების არეალი
- 1.5 მეტრიანი ბუფერული ზონა
- 3 მეტრიანი ბუფერული ზონა
- დაგეგმილი გამწვანებული ტერიტორია
- ღრუტანიანი ფილები

შენიშვნები:

- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია მეტყევე სპეციალისტის, კახა გულბანის (პ/ნ 62004017635) მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების აღრიცხვის უწყისიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: შპს „ხოშტარია 2“


შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

მცენარეთა საპროექტო განლაგება

ფორმატი A3

(მცენარეთა სახეობები და რაოდენობა სრულად ითვისებს მიწის ნაკვეთისთვის კანონით დადგენილი კ-3 კოეფიციენტის შესაბამისი გამწვანების ფართობს)

მ 1:200



ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები - 1

ცხრილი №1

№	მცენარის დასახელება	რაოდენობა
4	პალმა (Palmae)	1

დასარგავი მცენარეები - 7

ცხრილი №3

მცენარის დასახელება და პირობითი აღნიშვნა	ღეროს მინ. გარშემოწ. (სმ)	რაოდ.	მინ. ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები	დასურათება
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	20-22	3	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	
მაგნოლია (Magnolia grandiflora)	20-22	1	5	3.5	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი	
წყავი (Prunus laurocerasus)	4	3	2	0.8	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	

პირობითი აღნიშვნები

- პალმა
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- შენობის განთავსების არეალი
- დაგეგმილი გამწვანებული ტერიტორია
- ღრუტანიანი ფილები
- 1.5 მეტრიანი ბუფერული ზონა
- 3 მეტრიანი ბუფერული ზონა

შენიშვნები:

- არსებულ მცენარეთა მონაცემები აღებულია მეტყევე სპეციალისტის, კახა გულბანის (პ/ნ 62004017635) მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების აღრიცხვის უწყისიდან
- გამოყენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული და კარტოგრაფიული მასალა

დამკვეთი: შპს „ხოშტარია 2“

შემსრულებელი: შპს "დემასო ვუდ 1"

ზედხედი



აქსონომეტრიული ხედები









გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფა

ტერიტორიის ფართობი: 408 მ^2; გამწვანების ფართობი: 102 მ^2 (კ-3 = 0.3); მცენარეებით ასათვისებელი გამწვანების ფართობი: 102 მ^2





<u>ადგილზე შესანარჩუნებელი მცენარეები - 1</u>

• 1 პალმა (Palmae)

<u>დასარგავი მცენარეები - 7</u>

მცენარის დასახელება	ღეროს მინ. გარშემოწ. (სმ)	რაოდ.	მინ. ასაკი (წ.)	მინიმალური სიმაღლე (მ)	მახასიათებლები
იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	20-22	2	5	3.5	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი
მაგნოლია (Magnolia grandiflora)	20-22	1	5	3.5	გვალვაგამძლე საშუალოდ მზარდი
წყავი (Prunus laurocerasus)	4	5	2	0.8	გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი



საკადასტრო კოდი: 01.15.02.037.002

ნარგავების მოვლის ხანგძლივობა: დარგვიდან 3 წელი

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - 2024 წ.

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი - 2027 წ.

ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი:

შპს “ხოშტარია 2”

გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი ორგანო:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური